

“ძვირფასი ლითონებისაგან თავისუფალი ინოვაციური საავტომობილო კატალიზატორის საწარმოო გამოცდა და ოპტიმიზაცია”

რ ე ზ ი უ მ ე

პროექტის მიზანია გამონაბოლქვი ტოქსიკური აირების (CO , NO_x , C_mH_n) გარდაქმნის ინოვაციური, ძვირფასი ლითონებისაგან თავისუფალი, ნანოჰიბრიდული კატალიზატორის ეფექტურობის შეფასება. ამ მიზნით თანაპარტნიორის - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის გუნდის მიერ სინთეზირებული ჰიბრიდული ნანოკატალიზატორი გამოიცდება წამყვან ორგანიზაციაში - დვალის სახ. მანქანათა მექანიკის ინსტიტუტში. პირველ ეტაპზე გამოცდა ჩატარდება გამსხვილებულ ლაბორატორიულ მასშტაბში შიდა წვის ძრავის სტენდზე სტაციონალურ და დინამიურ რეჟიმებში გამონაბოლქვი აირების ნეიტრალიზაციის პირობებში. მეორე ეტაპზე ინოვაციური კატალიზატორის ნიმუშები გაივლიან ტესტირებას ავტომობილის რეალურ ექსპლუატაციის პირობებში. ახალი კატალიზატორის კონკურენტუნარიანობის შეფასების მიზნით პარალელურად ანალოგიურ პირობებში გამოიცდებიან პლატინის ჯგუფის შემცველი კომერციული კატალიზატორები. ტესტის შედეგის გათვალისწინებით ოპტიმიზირებული იქნება კატალიზატორის სამსახურეობრივი თვისებები. სავარაუდოდ ინოვაციური კატალიზატორი გამოირჩევა ძირითადი უპირატესობით - ოპტიმალური ღირებულება/ეფექტურობის მახასიათებლებით, რაც მიიღწევა ადგილობრივი იაფი მასალის და ნანოტექნოლოგიების გამოყენებით. პროექტის მთავარ შედეგს წარმოადგენს გარემოს და ადამიანების კეთილდღეობის გაუმჯობესება ინოვაციური ტექნოლოგიური პლატფორმის და ადგილობრივი ნედლეულის გამოყენების გზით.